

ოქმი N20

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2017 წელი, 28 სექტემბერი
ქ. ოზურგეთი, 11⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:
ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ნ.ტაბატაძე, ლ.ბიგვაჯა, ლ.თოიძე,
მ.მახაროზლიძე, ი.საჯაია.

ფრაქციის თავმჯდომარეები: კ.კვაჭაძე, ნ.ორაგველიძე, თ.ნადირიძე.

საკრებულოს წევრები: ლ.მგელაძე, ვ. ჩიგოგიძე, გ.ძიმისტარიშვილი,

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები.

არ ესწრებოდნენ: თ.სალუქვაძე, ნ.შარაშანიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნ.გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების, სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.
მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: ირინე საჯაია
2. „სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.
მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: ირინე საჯაია
3. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

4. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

5. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობდა მუშაობა 21 მარტიდან. დროებით შეჩერდა დადგენილებების დამტკიცება კანონში ცვლილებების შეტანის გამო. რადგანაც საკითხების შინაარსი გამომდინარეობს ერთმანეთისგან, ვალდებულები ვართ 1 ოქტომბრამდე მივიღოთ ეს 5 ნორმატიული აქტი. საკითხები განხილულია, პროექტებში ცვლილებები არ შესულა და მან ითხოვა საკითხების დამტკიცება.

აზრი გამოთქვს: ნ. გოგუაძე - ჩვენ მივიღებთ ნორმატიულ აქტებს, აღსრულება არის ახალი მუნიციპალიტეტის შესასრულებელი.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილებები
დამტკიცდა ერთხმად
დადგენილებები თან ერთვის

სხდომის თავმჯდომარე ნინო გოგუაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა